

გ-04/213-16
04.04.16



სამართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის სამინისტრო
MINISTRY OF CORRECTIONS OF GEORGIA



MOC 4 16 00245247

28/03/2016

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
ადმინისტრაციულ დირექტორს,
ქალბატონ თამარ გვარამაძეს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2016 წლის 11 მარტის Nგ-04/121-16 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტებს ამზადებს იურიდიული დეპარტამენტის სამართალშემოქმედების სამმართველო.

სამინისტროს სტრატეგიის შემუშავების უზრუნველყოფას ახორციელებს სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში საკანონმდებლო ინიციატივების მომზადების საკითხებზე მომუშავე იურიდიული დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნება შეადგენს 27 ერთეულს. მათ შორის სამართალშემოქმედების სამმართველოს საშტატო რიცხოვნებაა 5 ერთეული, რომელთა წლიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 74 820 ლარს. ანალიტიკური დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნება შეადგენს 44 ერთეულს, რომელთა წლიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 685 560 ლარს, ხოლო სპეციალური წოდების დანამატი 26 280 ლარს.

საკანონმდებლო პროცესის წარმოების საკითხებზე 2013 წელს ჩატარდა ტრენინგი - „სამართლებრივი მართლწერა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 22-მა მოსამსახურემ (მათ შორის ოთხმა მოსამსახურემ სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან).

აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში მოხელეებს არ გაუვლიათ ტრენინგი სტრატეგიული დოკუმენტებისა და საკანონმდებლო პროცესის წარმოების პროცესში საჯარო კონსულტაციების წარმოების საკითხთან დაკავშირებით. ტრენინგის ორგანიზება განახორციელა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირმა - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) დაფინანსებით.

პატივისცემით,

ცენტრალური აპარატი / იურიდიული დეპარტამენტი
უფროსი
ალექსანდრე დარახველიძე

სმ. დარახველიძე